

მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი სასწავლო პროგრამის სილაბუსი

N	სექცია	აღწერა
1.	სასწავლო პროგრამის დასახელება	მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი
2.	სასწავლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის მოხელეთა პროფესიული უნარების გაუმჯობესება მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით
3.	სასწავლო პროგრამის ზოგადი მიმოხილვა	<p>ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების რეალიზაცია პრაქტიკული თვალსაზრისით ხდება ურთიერთდამოკიდებული ადგილობრივი სტრატეგიებისა თუ პოლიტიკების მეშვეობით. ამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი მხრივ ეფუძნებოდეს მტკიცებულებებს, ხოლო მეორე მხრივ მკაფიოდ იქნეს შეფასებული გადაწყვეტილებების შესაძლო ზეგავლენა.</p> <p>სასწავლო პროგრამა აგებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მიდგომების შესაბამისად. მასში მონაწილეობა მიზანშეწონილია ეკონომიკური და საფინანსო მიმართულების მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლებისათვის.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს, შეისწავლიან მათი შეფასების მეთოდებსა და გაანალიზებენ მიღებული გადაწყვეტილებების გავლენას სხვადასხვა სექტორსა თუ პოლიტიკაზე.</p>
4.	პროგრამის ძირითადი თემები/ქვეთემები	<p>1. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების თანამედროვე მიდგომები - 2 სთ (ლექცია - 60 წთ; პრაქტიკული - 60 წთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება;

		<ul style="list-style-type: none"> • გარემოზე ზემოქმედების შეფასება; • სოციალური ეფექტების შეფასება. <p>2. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენის შეფასება საზოგადოების მიზნობრივ ჯგუფებზე - 2 სთ (ლექცია - 60 წთ; პრაქტიკული - 60 წთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • რელევანტური მიზნობრივი ჯგუფების გამოყოფა და მათი ძირითადი მახასიათებლების ანალიზი • ცალკეულ ჯგუფებზე გავლენის ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლების განსაზღვრა • გავლენის კუმულაციური ეფექტის შეფასება (რაოდენობრივი და ხარისხობრივი) <p>3. მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა გავლენა შრომის ბაზრისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე - 3 სთ (ლექცია - 30 წთ; პრაქტიკული - 150 წთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლების ანალიზი - სტატისტიკური წყაროები, დამუშავების მიდგომები; • ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების განსაზღვრის მეთოდები; • მუნიციპალური პროგრამები ადამიანური კაპიტალის განვითარების მიმართულებით. მათი გავლენა მოსახლეობის დასაქმების და შემოსავლების დონეზე; <p>4. ინფრასტრუქტურული პროექტების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასება - 3 სთ (ლექცია - 45 წთ; პრაქტიკული - 135 წთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • შეფასების ეტაპები და ამოცანები; • წინასწარი/ადრეული შეფასება - მეთოდები, ამოცანები; • საბოლოო შეფასების მეთოდები გადაწყვეტილების მისაღებად; • განხორციელების შემდგომი შეფასება და მისი შედეგების შედარება საბოლოო შეფასების მაჩვენებლებთან. <p>5. საჯარო-კერძო პარტნიორობით (PPP) განხორციელებული პროექტების გავლენა ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე - 3 სთ (ლექცია - 45 წთ; პრაქტიკული - 135 წთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტის მიზანშეწონილობის შეფასება წინასწარი ტესტირებით;
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება; • სახელმწიფო-კერძო სექტორის პარტნიორობის (PPP) პროექტის სოციალური ეფექტიანობის შეფასება. <p>6. მუნიციპალური გადაწყვეტილებების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტების შეფასების მატრიცა - 2 სთ (ლექცია - 30 წთ; პრაქტიკული - 90 წთ)</p> <ul style="list-style-type: none"> • შეფასების სისტემის ჩამოყალიბება; • შეფასების კრიტერიუმებს შორის წონების განაწილება; • კრიტერიუმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება პროფესიული ჯგუფების მიერ; • მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების კომპილაცია და გადაწყვეტილებათა გადასინჯვის ავტომატიზებული მექანიზმის აგება.
5.	სწავლების ფორმა და ფორმატი	<p>„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის #242 დადგენილების გათვალისწინებით, სწავლების ფორმად შერჩეულია: საკლასო მეცადინეობა, რაც გულისხმობს ტრენერის თანდასწრებით მეცადინეობას ლექციის, სემინარისა და სხვა ფორმატში;</p> <p>საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გადამუშავება ელექტრონული სწავლების ფორმაში.</p>
6.	სწავლებისთვის საჭირო რესურსები	<p>გარემო/ფართი უსაფრთხოების, ჰიგიენის, კონდიციონერბა/გათბობის, კვების ნორმების დაცვით, მაქსიმუმ 20 მსმენელზე გათვლილი სასწავლო აუდიტორია, საჭირო რაოდენობის სკამები და მაგიდები, დამატებითი სივრცე აქტივობების ჩასატარებლად, დამატებითი სივრცე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში).</p> <p>ტრენინგის ინსტრუმენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფლიპ-ჩარტის დაფა;

		<ul style="list-style-type: none"> • ფლიპ-ჩარტის ფურცლები; • ფერადი მარკერები; • ქაღალდის სკოჩი; • A4 ზომის ფურცლები; • მაკრატლები; • წებო; • ბლოკნოტები და კალმები ყველა მონაწილეს; <p>ტექნიკა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროექტორი; • საპრეზენტაციო დაფა; • კომპიუტერი/ლექტოპი; • Wireless presenter
7.	სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა	15 საკონტაქტო საათი
8.	საათების განაწილება	<ul style="list-style-type: none"> • ტრენინგ-დღის ხანგრძლივობა შეადგენს 2,5 დღეს • 2 დღის განმავლობაში ჩატარდება 4 სესია, მე-3 დღეს - 2 სესია; • თითოეული სესიის ხანგრძლივობა შეადგენს 1,5 საათს; <p><i>შენიშვნა: ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში, დღეებისა და საკონტაქტო საათების რაოდენობა დამკვეთთან შეთანხმებით მოდიფიცირდება</i></p> <p>თეორიული მეცადინეობისა და პრაქტიკული სამუშაოს შეფარდება:</p> <ul style="list-style-type: none"> • თეორიული მეცადინეობა/ლექცია - 4 სთ და 30 წთ; • პრაქტიკული მეცადინეობა - 10 სთ და 30 წთ. <p><i>შენიშვნა: თეორიულ მეცადინეობაზე ხდება მასალის პრეზენტაცია, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობაზე - პრაქტიკული შემთხვევების (ქეისის) განხილვა, სავარჯიშოების შესრულება და დისკუსია თემატური საკითხების ირგვლივ</i></p>
9.	სამიზნე მონაწილეები	ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები (ეკონომიკური და ფინანსური მიმართულებები)

10.	დაშვების წინაპირობა	წინაპირობის გარეშე
11.	მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს
12.	ტრენერი	<p>პროგრამაში ჩართულ ტრენერს აქვს:</p> <p>ა) სულ მცირე მაგისტრის ხარისხი ეკონომიკის ან ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;</p> <p>ბ) ტრენერად მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება</p> <p>გ) შესაბამის სფეროში მუშაობის სულ მცირე 5 წლიანი გამოცდილება</p>
13.	სწავლის შედეგები და კომპეტენციები	<p>ცოდნა</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულს ეცოდინება მუნიციპალურ გადაწყვეტილებათა სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე აპრობირებული მეთოდოლოგია.</p> <p>დამოკიდებულება</p> <p>პროგრამის წარმატებით გავლა აამაღლებს მსმენელში პასუხისმგებლობას, ისეთი გადაწყვეტილებების მომზადებისას/მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალიტეტის ძირითად სოციალურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.</p> <p>უნარჩევები</p> <p>პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება უნარი, მოახდინოს მუნიციპალურ დონეზე ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და მის საფუძველზე გააკეთოს არგუმენტირებული დასკვნები და შეფასებები. ასევე, მიღებული შედეგები მიაწოდოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოსაყენებლად.</p>
14.	სწავლა-სწავლების პრინციპები და მეთოდოლოგია	<p>პროგრამის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდება ე.წ. „სამფაზიანი მოდელის“ შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი ფაზების გამოყოფას:</p> <ul style="list-style-type: none"> გამოწვევა - თემასთან დაკავშირებული არსებული ცოდნის/ინფორმაციის გააქტიურება, შეფასება, პოზიტიური განწყობის შექმნა და ა.შ. ცოდნის კონსტრუირება - ახალი ცოდნის მიწოდება,

		<p>ძირითადი საკითხების გამოკვეთა და დისკუსიის ორგანიზება;</p> <ul style="list-style-type: none"> • გამთლიანება / რეფლექსაცია - ძირითადი საკითხების და იდეების შეჯამება, მიღებული ცოდნის/ინფორმაციის და მისი სარგებლიანობის შეფასება. ასევე, ახალი საჭიროებების გამოკვეთა. <p>პროგრამის ფარგლებში სწავლების ეფექტიანად განხორციელებისათვის გამოყენებული იქნება ისეთი მიდგომები და მეთოდები, როგორებიცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრეზენტაცია; • დისკუსია; • პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება; • გონებრივი იერიში; • შემთხვევის (ქეისი) ანალიზი; • ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და სხვა.
15.	შეფასების წესი	<p>დასწრება - მსმენელი უნდა დაესწროს ტრენინგს კურსის საერთო მოცულობის არანაკლებ 80%-ის ოდენობით</p> <p>პრე-ტესტი - მსმენელი შეასრულებს პროგრამის დაწყებისას. აღნიშნული ტესტი არის ისეთივე დონის, როგორც ტრენინგის შემდგომი ტესტები და მისი მიზანია, ტრენინგის მიერ ჯგუფთან მიღწეული პროგრესის შეფასება, საშუალო მაჩვენებლების შედარების საფუძველზე</p> <p>შუალედური შეფასება - თითოეული თემის გავლის შემდეგ მსმენელს მიეცემა შესასრულებლად ქვიზი, რომელიც შედგება 5 შეკითხვისაგან. ყოველ შეკითხვას აქვს სამი ალტერნატიული პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი არის სწორი.</p> <p>შეკითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მსმენელი იღებს 1 ქულას, არასწორი პასუხის გაცემისას - 0 ქულას.</p> <p>ქვიზი და შესაბამისად თემა ითვლება წარმატებით ათვისებულად თუ მსმენელი მიიღებს არანაკლებ 3 ქულას.</p> <p>თუ მსმენელი მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას არაუმეტეს ორ თემაში, მას ეძლევა უფლება აღნიშნული თემები გადააბაროს სასწავლო კურსის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღეში.</p> <p>სერტიფიკატის გაცემა - მსმენელს სერტიფიკატი მიეცემა, თუ ის</p>

		დაესწრება ტრენინგების არანაკლებ 80%-ს და დადებით შეფასებას მიიღებს ყველა თემაში.
16.	ლიტერატურული წყაროები	<p>ძირითადი სასწავლო მასალა: ტრენინგ კურსისთვის შემუშავებული საკითხავი მასალა (Handbook), რომელიც 25-30 გვერდისგან შედგება.</p> <p>დამატებითი წყაროები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს მთავრობის დადგენილება № 191, საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე. თბილისი, 22.04.2016 წ. www.matsne.gov.ge • European PPP Expertise Centre (EPEC), (2018). Ex-post assessment of PPPs and how to better demonstrate outcomes, 74 Page, www.eib.org/epec • Kirkemann P. Appelquist M. (2008), Evaluation Study Public Private Partnership Program; 57 Page; Nordic Consulting Group; https://www.oecd.org/ • Eugene F. Brigham, Joel F. Houston (2013), Fundamentals of Financial Management, (13th ed.).